

## დამსაქმებელთა აზრის შესწავლა

(შემაჯამებელი ანალიზი, 2016-2017 აკადემიური წელი)

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა დამსაქმებლების კმაყოფილების შესწავლა მათთან დასაქმებული კურსდამთავრებულების კომპეტენციების დონით და იმის გარკვევა, თუ რა მოთხოვნები აქვს დასაქმების ბაზარს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა მიმართ. გამოკითხვა ჩატარდა ანკეტირების გზით. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ დამსაქმებლებს მნიშვნელოვან ასპექტად მიაჩნიათ კურსდამთავრებულის თვითგანვითარების მოტივაციის არსებობა, დასმული ამოცანების დამოუკიდებლად შესრულების უნარი, კომპეტენციების სრულყოფის მოტივაცია და სხვ, რათა დასაქმებულმა შეძლოს დაკისრებული ვალდებულებების ხარისხის ამაღლება დაწესებულების მხრიდან დამატებითი დანახარჯების გარეშე. მომავალი თანამშრომლის მიმართ წაყენებული მოთხოვნებიდან პრიორიტეტულად მიჩნეულია:

1. თვითგანვითარების მოტივაციის არსებობა - 95,3%
2. დამოუკიდებლად კომპეტენციების სრულყოფის უნარი - 95,3%
3. პასუხისმგებლობა - 94,5%
4. სპეციალობის ფუნდამენტური ცოდნის დონე - 93,8%
5. პრაქტიკული უნარების დონე - 94,1%
6. თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენების უნარი - 90,6%
7. უცხოური ენის ცოდნა - 88,8%
7. სპეციალობასთან დაკავშირებული სპეციალური თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა - 82,1%
8. ზოგადინტელექტუალური კომპეტენციები - 80%
9. საკომუნიკაციო უნარები - 61,3%

როგორც ირკვევა, დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კურსდამთავრებულის სპეციალური ცოდნა და უნარები, არამედ მისი უნარი სწრაფად და ხარისხიანად მიიღოს და გამოიყენოს ის კომპეტენციები, რომლებიც შესაბამეა მის სამსახურებრივ მოვალეობებს. შესაბამისად, არ არის საკმარისი მხოლოდ აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები. აუცილებელია სტუდენტებს ჩამოუყალიბდეს თვითგანვითარების, სწავლის გაგრძელების, ცოდნის და უნარების სრულყოფის მოტივაცია. ასევე აუცილებელია უცხოური ენის, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და სპეციალური კომპიუტერული პროგრამების ცოდნა და მისი გამოყენების უნარი პროფესიულ საქმიანობაში. ანკეტირების შედეგად მიღებული მონაცემები რომელთა მეშვეობით შეილება ვიმსჯელოთ დამსაქმებელთა მოლოდინების და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების სრულყოფის მიმართულებების შესახებ, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურულ დასაფუძვლავს, სწავლის შედეგების შესაბამისობას შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით და აღნიშნულის შედეგად - კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას. სტანდარტულ ანკეტასთან ერთად, გამოკითხვაში მონაწილე დამსაქმებელს ეთხოვა წერილობითი გამოცხატა თავისი მოსაზრება დასაქმებისათვის აუცილებელი უცხო ენების შეხებ და პრიორიტეტულობის მიხედვით, მიეთითებინა კურსდამთავრებულთათვის დასაქმებაში ხელიშეწყობი უცხოური ენები. გამოკითხულთა 100% თვლის, რომ კურსდამთავრებულთათვის აუცილებელია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა (საზღვაო დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით); 30% თვლის, რომ ასევე, დამატებით, სასურველია თურქული ენის ფლობა (ლოგისტიკის დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი